აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №20

23 სექტემბერი 2016 წელი **ქ. ბათუმი**
12[00] საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მჟავანაძე, მაკა ლომაძე, შორენა ჭაღალიძე, მამუკა ჯაში, ნუგზარ ბაჯელიძე, ირაკლი გვარამია, მამუკა კოპალეიშვილი და კახაბერ ჯაიანი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის და მასმედიის წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო საბუთის სახის დადგენის შესახებ;

2. განკარგულება
ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ;

3. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო საბუთის სახის დადგენის შესახებ;

2. განკარგულება
ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ.

1. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო საბუთის სახის დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „ზოგიერთი საარჩევნო საბუთის სახის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ პროპორციული საოლქო და საუბნო კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი იქნება მწვანე ფერის ხოლო მაჟორიტარული ყვითელი ფერის.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „ზოგიერთი საარჩევნო საბუთის სახის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი

პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის დადგინდეს შემდეგი საარჩევნო საბუთების სახეები თანდართული ნიმუშების შესაბამისად:

ა) საოლქო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საოლქო პროპორციული) (ფორმა №1-07.02.01);

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საოლქო მაჟორიტარული) (ფორმა №1-07.02.02);

გ) საუბნო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საუბნო პროპორციული) (ფორმა №1-07.03.01);

დ) საუბნო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საუბნო მაჟორიტარული) (ფორმა №1-07.03.02);

ე) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი (ფორმა №1-07.02.03);

ვ) საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების მაჟორიტარულ შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი (ფორმა №1-07.02.04);

ზ) საუბნო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი (ფორმა №1-07.03.03);

თ) საუბნო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი (ფორმა №1-07.03.04).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

2. განკარგულება
ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს და მიენიჭოს დამკვირვებლის სტატუსი, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებულ ყველა დონის საარჩევნო კომისიაში, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას - ა.(ა).ი.პ. **„ახალგაზრდული ინიციატივა მომავალი საქართველოსთვის“.**

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.
სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **სოფიო კახაძე**